გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულში - თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილებაში მეცნიერი თანამშრომლის ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. საკონკურსო პირობები:

პოზიციის დასახელება: თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა: 1

თანამდებობრივი სარგო: 370.00 ლარი

2. შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერილობა:

ახალი და თანამედროვე ქართული არქიტექტურის კვლევა; ყოველწლიური სამეცნიერო თემის მომზადება; კვლევითი ექსპედიციების დაგეგმვა და /მონაწილეობა; ადგილობრივ ან/და საერთაშორიოსო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სამეცნიერო სტატიების მომზადება.

3. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერ-თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მეცნიერ–თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად გადაცემული სამეცნიერო ნაშრომი/ნაშრომები;

გ) უნდა ჰქონდეს მიღებული მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, უორკშოპი);

დ) მიმდინარე და მომავალი სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფერო უნდა იყოს ახალი და თანამედროვე ქართული არქიტექტურა;

ე) უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სასწავლო ან/და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;

ვ) უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას (ინგლისური ენის ცოდნა შემოწმდება გასაუბრებისას);

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი) (დანართი N2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მითითებით;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი.

5. კონკურსი გამოცხადების თარიღი 2023 წლის 6 ოქტომბერი. საკონკურსო დოკუმეტაციის მიღება იწარმოებს 2023 წლის 6 ნოემბრიდან 2023 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით 11:00 საათიდან 17:00 საათამდე.

საკონკურსო განაცხადები მიიღება როგორც მყარი (მის. თბილისი, ათონელის N 9), ასევე ელექტრონული ფორმით ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე: g_ch_centre@yahoo.com

დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მეორე ეტაპზე.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ღია კენჭისყრის საფუძველზე, აპლიკაციების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა

კონკურსის ეტაპები:
განცხადების გადარჩევა;
გასაუბრება.

საკონტაქტო პირი: ნანა ღარიბაშვილი 299 05 88; 599 23 54 53